*დამტკიცებულია თჰუ აკადემიური საბჭოს*

*2021 წლის 03 სექტემბრის N13 გადაწყვეტილებით*

**შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო გაცვლით და მობილობის პროგრამებში მონაწილეობისათვის სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შერჩევის წესი**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები და რეგულირების სფერო**

1.შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო გაცვლით და მობილობის პროგრამებში მონაწილეობისათვის სტუდენტთა შერჩევის წესის (შემდგომში - ,,წესი“) მიზანია შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“) სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხამრე პერსონალის უნივერსიტეტის საერთაშორისო გაცვლით და მობილობის პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა.

2.წინამდებარე წესი არეგულირებს უნივერსიტეტის საერთაშორისო გაცვლით და მობილობის პროგრამებში მონაწილეობის მიზნით უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხამრე პერსონალის შერჩევის პროცედურულ საკითხებს.

**მუხლი 2.** საერთაშორისო გაცვლითი და მობილობის პროგრამების საფუძვლები უნივერსიტეტის საერთაშორისო გაცვლითი და მობილობის პროგრამების საფუძვლები შეიძლება იყოს პარტნიორ უცხოულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან დადებული ორმხრივი წერილობითი დოკუმენტი (მემორანდუმი, ხელშეკრულება და სხვ.), დადგენილი წესით უნივერსიტეტის მიერ მიღებული საერთაშორისო პროექტი ან სხვა საერთაშორისო პროექტი, რომელშიც უნივერსიტეტი მონაწილეობს, სამთავრობო გრანტები.

**მუხლი 3.** საერთაშორისო გაცვლით და მობილობის პროგრამაში მონაწილეობისათვის კანდიდატების შერჩევა ხდება თჰუ რექტორის მიერ ბრძანების საფუძველძე შერჩეული 5 წევრიანი კომისიის მიერ ერთ ეტაპად, ამ წესით გათვალისწინებული და შემუშავებული სპეციალური კრიტერიუმების საფუძველზე.

**მუხლი 4. სტუდენტთა შერჩევის კრიტერიუმები**

4. 1. აკადემიური მოსწრება - 50%

- ➢ აკადემიური მოსწრება არის სასწავლო პროცესის მოცემულ ეტაპზე მოსწავლეთა მიერ მიღწეული შედეგების შეჯამებული შეფასება საგნობრივი პროგრამებით გათვალისწინებული მოთხოვნებით. აკადემიური მოსწრების განსაზღვირისას მხედველობაში არ მიიღება მოსწავლის დისციპლინარული დახასიათება და ის პიროვნული თვისებები, რომელთა განვითარებაც არ არის საგნობრივი პროგრამის მიზანი.
- ➢ აკადემიური მოსწრების განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება GPA (მიღებული მონაცემების საშუალო). შეფასების საშუალო არის რიცხვი, რომელიც წარმოადგენს კურსებში დაგროვილი საბოლოო შეფასებების საშუალო მნიშვნელობას დროთა განმავლობაში.

4. 2. ინგლისური ენის ცოდნა - 20%

- ➢ ინგლისური ენის ცოდნა შეიძლება შეფასდეს რამდენიმე კრიტერიუმით:
- ინგლისურის საერთაშორისო სერთიფიკატით (Test of English as a Foreign Language- TOEFL; International English Language Testing System- IELTS; Cambridge English Qualifications; Pearson English Language Test- PTE Academic, etc.), B2-ის ექვივალენტი.
- ინგლისური ენის, როგორც სავალდებულო საგნის, შეფასებით (კურიკულუმში არსებული სავალდებულო ინგლისური ენის შეფასება), B2-ის ექვივალენტი.
- გასაუბრების საფუძლელზე.

4. 3. მოტივაცია - 10%

- ➢ რატომ სურს სტუდენტს საზღვარგარეთ წასვლა სასწავლებლად:
- რითი დაეხმარება უცხოეთში სწავლა მას პიროვნულ და პროფესიულ ზრდაში?
- აქვს თუ არა ჩამოყალიბებული ხედვა თავის პროფესიულ მომავალზე ქვეყანაში დაბრუნების შემდეგ?
- ➢ სტუდენტის უპირატესობების გამოკვეთა სხვა კონკურსანტებთან მიმართებით:
- რატომ თქვენ და არა სხვა? რა უპირატესობა გაგაჩნიათ?
- რას მიიღებს თჰუ და მიმღები უნივერსიტეტი თქვენი გაშვებით/მიღებით?
- რა უნარებს განივითარებთ?
- რას ისწავლიან თქვენგან სხვა სტუდენტები (თჰუ და მიმღებ უნივერსიტეტში)?

4.4. მიმღები უნივერსიტეტის ენის ცოდნა -10%

- ➢ მიმღები ქვეყნის/უნივერსიტეტის ენის ცოდნის შეფასება ხდება რამდენიმე კრიტერიუმით:
- ენის საერთაშორისო სერთიფიკატით;
- უნივერსიტეტში სწავლისას გავლილი საგნის (არჩევითი ენის) შეფასების საფუძველზე.
- გასაუბრების საფუძველზე.

4.5. სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა - 10%

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან (აფხაზეთი, სამაჩაბლო) იძულებით გადაადგილებული პირები;
- სოციალურად დაუცველი პირები;
- საქართელოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები;
- ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები პირები;
- ოკუპირებული ტერიტორიების საზღვრისპირა სოფლების მცხოვრებები.

**მუხლი 5. აკადემიური პერსონალის შერჩევის კრიტერიუმები**

კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენა:

1. CV ევროპასის ფორმატში ინგლისურ ენაზე;

2. ინგლისური ენის სერტიფიკატი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

3. ბიომეტრული პასპორტი;

4. მობილობის ხელშეკრულების შევსებული ფორმა.

- ინგლისური ენა - 50%

- ინგლისური ენის ცოდნა შეიძლება შეფასდეს:
- ინგლისურის საერთაშორისო სერტიფიკატით (Test of English as a Foreign LanguageTOEFL);
- International English Language Testing System- IELTS;
- Cambridge English Qualifications; Pearson English • Language Test- PTE Academic;
- B2 დონის ექვივალენტი სხვა სერტიფიკატი.

შპს თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში ინგლისურენოვანი ჯგუფების (ამჟამინდელი ან ადრინდელი) ლექტორებს ინგლისური ენის დამადასტურებელი ცნობა არ მოეთხოვებათ.

ინგლისურენოვანი გაცვლითი სტუდენტების ლექტორებს ენის სერტიფიკატი არ მოეთხოვებათ.

ინგლისურენოვანი დიპლომის არსებობის შემთხვევაში (ბაკალავრი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), კანდიდატს ენის სერტიფიკატი არ მოეთხოვება.

- შევსებული სააპლიკაციო ფორმა - 20 %

აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს შევსებული და მომზადებული სააპლიკაციო ფორმა, რომელიც აკმაყოფილებს გამოცხადებული გაცვლითი პროგრამის მოთხოვნებს (მიმღებ უნივერსიტეტში ყოფნის დროს განსახორციელებელი აქტივობების გეგმა).

- დეკანის რეკომენდაცია - 30%

არ მოითხოვება დეკანის წერილობითი რეკომენდაცია. დეკანი წარადგენს თავის რეკომენდაციას სპეციალურად შექმნილ შერჩევის კომისიასთან.

**მუხლი 6. ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის შერჩევის კრიტერიუმები**

კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენა:

1. CV ევროპასის ფორმატში ინგლისურ ენაზე;

2. ინგლისური ენის სერტიფიკატი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

3. მიმღები უნივერსიტეტის ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

4. ბიომეტრული პასპორტი;

5. მობილობის ხელშეკრულების შევსებული ფორმა.

- ინგლისური ენა - 40%
  ინგლისური ენის ცოდნა შეიძლება შეფასდეს:

- ინგლისურის საერთაშორისო სერტიფიკატით (Test of English as a Foreign LanguageTOEFL);
- International English Language Testing System- IELTS;
- Cambridge English Qualifications;
- Pearson English
- Language Test- PTE Academic;
- B2 დონის ექვივალენტი სხვა სერტიფიკატი;

შპს თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში ინგლისურენოვანი ჯგუფების (ამჟამინდელი ან ადრინდელი) ლექტორებს ინგლისური ენის დამადასტურებელი ცნობა არ მოეთხოვებათ.

ინგლისურენოვანი გაცვლითი სტუდენტების ლექტორებს ენის სერტიფიკატი არ მოეთხოვებათ.

ინგლისურენოვანი დიპლომის არსებობის შემთხვევაში (ბაკალავრი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), კანდიდატებს ენის სერტიფიკატი არ მოეთხოვებათ.

- შევსებული სააპლიკაციო ფორმა - 20 % აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს შევსებული და მომზადებული სააპლიკაციო ფორმა, რომელიც აკმაყოფილებს გამოცხადებული გაცვლითი პროგრამის მოთხოვნებს (მიმღებ უნივერსიტეტში ყოფნის დროს განსახორციელებელი აქტივობების გეგმა).
- მიმღები უნივერსიტეტის ენის ცოდნა - 10% მიმღები ქვეყნის/უნივერსიტეტის ენისს ცოდნა შეფასდება:

- ენის საერთაშორისო სერტიფიკატით;
- ნებისმიერი სხვა სერტიფიკატის საფუძველზე;
- გასაუბრების საფუძველზე.

- დარგობრივი რელევანტურობა - 30%
  დარგობრივ რელევანტურობას განსაზღვრავს:

- შპს თბილისი ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი;
- მიმღები უნივერსიტეტი.

**მუხლი 7** . დასკვნითი დებულებები

წინამდებარე წესის საფუძველზე უნივერსიტეტისა და მის უფლებამოსილ პირთა, ასევე სტრუქტულ ერთეულთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებები (მათ შორის, შერჩევის პროცედურის მიმდინარეობისას მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებები) შესაძლოა გასაჩივრდეს სასამართლოში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.